სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მზია სუხიშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წელის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მოგესალმებით.

მოგეხსენებათ, რომ 2021 წლის 3 დეკემბრიდან არჩეული ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევდად და ასევე საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ.

საკრებულოში ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს ორგანული კანონით,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტით, საკრებულოს იურიდიული კომისიის დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წელის 1 ნოემბრამდე ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა იურიდიული კომისიის 7 სხდომა, სადაც ჩატარებული სხდომებიდან ვხელმძღვანელობდი 7 .

ამ პერიიოდის განმავლობაში იურიდიულმა კომისიამ განიხილა 14 საკითხი, საიდანაც მერიის ინციატივით წარმოდგენილი იყო 8 საკითხი, კომისიის ინციატივით 6 საკითხი.

კომისიის მიერ შემუშავებული და საკრებულოს წინაშე წარმოდგენილი იქნა 2023 - 2024 წლის სამუშაო გეგმა კვარტლების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სესიაზე განსახილველ საკითხებზე თანამომხსენებელი ვიყავი 8 საკითხზე, ხოლო მომხსენებელი 6 საკითხზე.

მოგეხსენებათ საკრებულო, კანონმდებლობის შესაბამისად, ანხორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს კონტროლს.

ამ მიზნით იურიდიულმა კომისიამ ,ხოლო შემდგომ საკრებულომ მოისმინა და შეაფასა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის მ/შ -ის ია პაპუაშვილის 2023 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში.

კომისიის მუშაობას წარვმართავ იმ უფლებამოსილების ფარგლებში რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

ასევე გახლავართ საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალური კომისიის წევრი სადაც ჩატარებული 8 სხდომიდან , ვესწრებოდი 8.

ასევე ვარ საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი.

როგორც კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს წევრი, აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მუშაობაში.

ჩატარებული საკრებულოს 17 სხდომიდან ვესწრებოდი 16.

ფრაქციის 12 სხდომიდან ვესწრებოსი 12.

როგორც საკრებულოს წევრი და იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ვთანამშომლობ მუნიციპალიტეტის მერთან, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან , რასაც კვლავ გავაგრძელებ შემდგომი საქმიანობისა და სამუშაო გარემოს ეფექტიანობისათვის.

მქონდა სისტემატიური შეხვედრები მოსახლეობასთან, სადაც განვიხილავდით მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებს.

მოგეხსენებათ ჩემთვის პირველი სადეპუტატო გამოცდილებაა როგორც საკრებულოს წევრის, ასევე კომისიის თავმჯდომარის რანგში და ვიმედოვნებ ჩემი მუშაობის შემდეგი წელი მეტად აქტიური და ნაყოფიერი იქნება.

მზია სუხიშვილი